

თენგიზ ცეცხლაშვილი

# გული და ხელი

ბათუმი  
2010



თენგიზ ცეცხლაშვილი უკვე რვა წელია რაც გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზე. მან ზედიზედ გამოსცა ისტორიულ-ჰეროიკული პოემები: „გვირგვინოსანი“, „ჩემი ღელე-ღურდანი“ და „უმეფობის ჟამს“. პირველი მათგანი ფაქტიურად გალექსილი „ქართლის ცხოვრებაა“, რომელშიც ასახულია საქართველოს ისტორია. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის – მალხაზ სიორიძის მოსაზრებას: –

„გალექსილი ქართლის ცხოვრება“ უცხო არ არის ქართული მწერლობისათვის. არჩილ-11, თეიმურაზ-1, ფეშანგი ხითარიშვილის, იოსებ თბილელის, დავით გურამიშვილის, გრიგოლ ორბელიანის და სხვათა ისტორიულ პოემებში აისახა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის სხვადასხვა მომენტი, რასაც დიდი შემეცნებით-აღმზრდევლობითი მნიშვნელობა ჰქონდა მათ თანამედროვე ქართველთათვის.

იგივე უნდა ითქვას ჩვენი თანამედროვე ავტორის – თენგიზ ცეცხლაშვილის ისტორიულ-ჰეროიკულ პოემაზე „გვირგვინოსანი“, რომელიც გამოჩენილ ქართველ მეფეთა მოღვაწეობის ძირითადი მომენტების წარმოჩენის ფონზე, მარტივი ლექსის ფორმით გადმოცემულია საქართველოს

რედაქტორი რეზო მხატვარი

წიგნი გამოიცა არჩილ ცეცხლაშვილის თანადგომით.

ისტორიის ძირითადი მომენტები უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის 10 –იან წლებამდე... თენგიზ ცეცხლაშვილის „გვირგვინოსანნი“ ლალი ენით დაწერილი პოემაა და მთლიანობაში საინტერესოდ იკითხება. მიგვაჩნია, რომ იგი, როგორც დამატებითი ლიტერატურა, დაეხმარება მოსწავლეებს საქართველოს ისტორიის მხატვრულად გააზრებასა და შესწავლაში“. ანალოგიურად შეფასდა პოემა „ჩემი დედე-ღურდანი“, რომელიც საქართველოს განუყოფელი კუთხის, აჭარის ისტორიაა წარმოჩენილი და „უმეფობის ჟამს“, რომელშიც აღწერილია საქართველოს ბედკრული ისტორია.

ზემოხსენებული პოემების მკითხველის სამჯავროზე გატანას სათანადოდ აშუქებდნენ ქვეყნის მასმედიის საშუალებები. უნდა ითქვას, რომ ეს ნაწარმოებები ავტორმა ქველმოქმედების წესით საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და სოფლის სკოლებში ჩამოარიგა, რასაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. ამ საქმეში მას მხარში ედგა და ასპონსორებდა მისი მეგობარი, ფირმა „ბასკოს“ პრეზიდენტი – იგორ კრეიდენკო, რომელიც უანგაროდ ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას.

გარდა ამისა თ. ცეცხლაშვილის კალამს ეკუთვნის: – „მამულო ჩემო საუნჯევ“, „ჩემი სიმდიდრე“, „ხმა“, ორ წიგნად გამოცემული „ჩვენი დროის დეკამერონი“, „მამულისათვის

თავდადებული”, და „ქართული ცირკი“. ის „ბასკო“-ს და საბავშვო ფესტივალის „ცისკრის ვარსკლავის“ ჰიმნებისა და ლირიკული ლექსების ავტორიცაა,ახლახან მისი რუსულ ენაზე დაწერილი ლექსებით დაინტერესდა ქ. მოსკოვის ქალთა ვოკალური ჯგუფი „ვესნა“.

ამჟამად ავტორს მკითხველის სამჯავროზე გამოაქვს ლექსთა კრებული – „გულის ნადები“, რითაც ერთგვარ ანგარიშს აბარებს მკითხველს.

## ბლოცავ მამულო

სამშობლოვ ჩემო, როგორც ამბობენ  
ვერცხლის შუბლი ხარ დედამიწისა,  
და კურთხეული ღვთისმშობლის მადლით  
ასაკით სამი ათასი წლისა.

შენ შეგხაროდა გულით ქართველი  
და ამაყობდა მუდამ მამულით,  
ღვიძლ რელიგიად ქრისტე ირწმუნა  
და ემსახურა ხორციით და სულით.

რითაც გიცნობენ მთელს მსოფლიოში  
„გეორგია“-ა სახელი ტკბილი,  
შენს ჭერქვეშ ცხოვრობს მიწათმოქმედი  
მშრომელი ხალხი გულდია, თბილი.

ღვთისმშობლის მადლით ხარ კურთხეული,  
მშობელი ხალხი შენით ამაყობს,  
ივერთა მოდგმის ღია გული ხარ  
მამულო ჩემო, როგორ არ გაქო!

რა არ გადაგხდა ტანჯულს ბედითა,  
რამდენი რბევა გამოგივლია,  
მტერმა ვერ შეძლო შენი გატეხვა,  
გმირი შეიღებე გამოგიზრდია.

ფარნავაზისა გვახსოვს ჩვენ წიგნი  
და ერთად შეკვრა ქართველთ მკლავისა,  
მირიან მეფის ქრისტიანობა,  
მძლავრი ნავარდი გორგასალისა...

აღმაშენებლის შეუპოვრობა,  
თამარ ხელმწიფის ცამდე ზეობა,  
თავდადებულის თავგანწირვა და  
მეფე ბრწყინვალის სულით მხნეობა.

გვირგვინოსანთა ამაგისათვის  
მადლიერია ქართველი ერი,  
გლოცავ მამულო, მიწავ ქართულო,  
გფარავდეს მარად მაღალი ღმერთი!  
ამინ!

„ვერცხლის შუბლში“ მოიაზრება კავკასიის მთები.  
(ნაწყვეტი პოემიდან „გვირგვინოსანნი“)

## წმიდა ნინო

კაბადოკელი წმიდანი ნინო  
სულით უმანკო და მშვენიერი,  
საქართველოსკენ ის მოდიოდა,  
რომ მოენათლა ქართველი ერი.

წვიმა და ქარი არ აშინებდა  
მოაბიჯებდა ის ფეხშიშველი,  
ქრისტიანობა რომ ექადაგა  
იესოს სიტყვით, იესოს რწმენით.

საქართველოში ფეხი შემოდგა,  
სითბოთი შეხვდა მიწა ქართული,  
ახალი რწმენა მოჰქონდა ნინოს  
ლოცვა-კურთხევა ქრისტიანული.

თავისი თმებით ვაზის ლერწამი  
შეკრა და ჯვარად გადააქცია,  
როგორც კი მცხეთას მიუახლოვდა,  
უმაღ მან ჯვარი მადლა ასწია.

მოაბიჯებდა ქარში, წვიმაში  
ნინო – უმანკო და მშვენიერი,  
რომ მოენათლა ქრისტიანულად  
საქართველო და ქართველი ერი!

## დაილოცოს საფიცარი

ჩემს მიწაზე უძველეს ხნის  
სალოცავნი დგანან წმინდა,  
ჯვარი, სვეტიცხოველი და  
ჩემი სხალთა, ნიკორწმინდა.

გელათი და ალავერდი,  
ჯიხეთს მონასტერი წმინდა,  
ვარძია და მხნე მარტვილი,  
რომელთ ნახვა მარად მინდა.

სულ ახლახან თბილისს იშვა  
ცათამბჯენი – მედგრად მდგარი  
ქართველთ კაცის საფიცარი  
წმიდა სამების ტაძარი.

სადაც ჯვარზე ლაშარისას  
ფიცსა დებდა წინაპარი,  
მჯერა ამ ერს ვერ წააქცევს,  
მტერი თუნდაც კარს მომდგარი!

საქართველოს სულით ძლიერს  
დაენათლა უკვდავება,  
მომავალშიც ჩვენს სამშობლოს  
ღმერთი მისცემს გამარჯვებას!



## სვეტიცხოველი

შვიდ სვეტზე მდგარო სვეტიცხოველო  
ხარ ქრისტეს მადლით აშენებული,  
მცხეთას აგაგო მირიან მეფემ,  
წმიდა ნინოს ჯვრით ხარ კურთხეული.

საქართველოში უპირველესო  
ქრისტიანობის მქადაგებელო,  
დგახარ ძლიერი ხელუხლებელი,  
ქართველ მეფეთა სასუფეველო.

შენ საქართველოს წმინდა ალაგო,  
მესაიდუმლე ქართველი ერის,  
დედასამშობლო გულში გიხუტებს  
შენ სიამაყევ ქართველი ერის!

## ჩემი კახეთი

დიდი ილიას სამკვიდრო არი,  
ჩემი კახეთი ტანჯულ წარსულით,  
ვინც აღამაღლა ქართველი ერი  
მტრულად მოგვიკლეს მტარვალის ხელით.

აბა, ვინ მოთვლის იმ ნაიარევს  
კახელმა კაცმა რომ გადიტანა,

ღმერთმა უბოძა სული ძლიერი,  
თორემ ასეთ ხვედრს ვერ აიტანდა.

მე მისებრ ხვედრის აჭარას ვცხოვრობ,  
კუთხეს, რომელიც ბევრი აწამეს,  
წინაპრის სისხლით მორწყეს მთა-ბარი,  
ქართველობა კი ვერ შეულახეს.

აქედანაც კი სულით შენთან ვარ,  
ღმერთმა დაგლოცოს, კახეთო ჩემო,  
არ ვიცი როგორ გამომდის, მაგრამ  
ორივე კუთხის შვილობას ვჩემობ!

## თბილისო

თბილისო, შენ გეფერები,  
სიყვარულში გიტყდები,  
იმას, რასაც გულში ვამბობ  
მხოლოდ შენ თუ გეუბნები.

გალამაზებს და გამშვენებს  
რუსთაიელის გამზირი,  
შენი სტუმართ-მასპინძლობა  
გულღია და გულთბილი.

გალამაზებს და გამშვენებს  
რუსთაველის გამზირი,  
შენი სტუმართ-მასპინძლობა  
გულღია და გულთბილი.

გეფერები, თბილისო,  
ჩემო თბილო ქალაქო,  
საქართველოს მშვენიება ხარ  
ჩემო დედაქალაქო.

მთაწმინდა და ქართლის დედა  
გადმოგყურებს და გლოცავს,  
მეტეხი კი შემოგცქერის,  
როგორც წმინდა სალოცავს.

გალამაზებს და გამშვენებს  
შენ ღამაზი ქუჩები,  
ნადდი თბილისელები და  
უძველესი უბნები.

## **ჩემო ბათუმო**

იღღგრძელე ჩემო მიწავ,  
ჩემო მხარევ ქებულო,  
საქართველოს სიამაყევ  
ჩემო თბილო ბათუმო.

გალამაზებს სანაპირო  
მოუსვენარ ტალღების,  
ეს ტალღები გეფერება  
და ნანინას გიმღერის.

საქართველოს კარიბჭე ხარ,  
საოცრებაე ზღაპრულო,  
სიყვარულის ჩირაღდანო  
გუღლიავ და გუღლთბილო.

სითბოს აფრქვევ ყველასათვის  
ედემ ბაღად ქცეულო,  
საქართველოს მაჯის ცემავე,  
მარად მწვანე ბათუმო.

საქართველოს კარიბჭე ხარ,  
დღიდან დღემდე იზრდები,  
იზრდები და ლამაზდები  
შენი სალოცავებით.

1999 წ.

## ჩემი სიყრმის ქალაქი

აბა როგორ არ გიმღერო  
მითხარ როგორ არ გაქო,  
ჩემო სიყრმის სიყვარულო,  
ჩემო ბათუმ ქალაქო.

შენს სამანებს მოცილებულს  
მენატრები მუდამ ჟამს,  
მინდა გუღლში სულ ჩაგიკრა  
მოგეფერო ყოველ წამს.

ჩემს ცხოვრებას გზა მიეცი  
სხვებიც ბევრი აკურთხე,  
შენს სიყვარულს ვერ დაჩრდილავს  
ქვეყნად ვერცეთი კუთხე!

2005 წ.

## მცხეთა

შენ უძველესო ქართველთ ქალაქო  
ქართველ მეფეთა წმინდა სავანე,  
არმაზის ციხე დღესაც გდარაჯობს,  
ხარ ჩვენი ერის მემკვიდრე!

ისევ დაგცქერის ჯვარი ამაყად,  
გლოცავს ტაძარი სვეტიცხოველი,  
ბევრი ქარ-ცეცხლი გამოგივლია,  
გვერდით ქართველი გიდგას ყოველი.

დგახარ ურყევად ციხე-ქალაქო  
დღესაც მზადა ხარ თავი გადადო  
დედასამშობლოს ძლიერებისთვის  
უძლეველ ფარად კვლავ აღიმართო!  
დალოცვილ იყავ მცხეთა ქალაქო!

## ექვთიმე თაყაიშვილი

მინდა თბილი სიტყვა ვუძღვნა  
სულით მდიდარ ადამიანს,  
საქართველოს სიამაყეს,  
თაყაიშვილს – დიდზე-დიადს.

ეროვნულ გმირს, მამულიშვილს,  
ქვეყნის განძის შემნახველსა,  
მეცნიერსა სათაყვანოს  
ბრძნულად ქვეყნის გამგებელსა.

სამშობლოს სიყვარულია  
ყველაზე დიდი ღირსება,  
ექვთიმეს გახსენებაზე  
გული სიკეთით ივსება.

## ბალაკტიონს

შენ სიყვარული გულწრფელი  
მთელი სიცოცხლე ატარე,  
მერის ეტრფოდი, ეს ტრფობა  
ღვთიურ სამოთხეს ადარე.

ეს ნაზი გრძნობა გარგუნა  
ზეციურ ღმერთმა მაღალმა,

შენს გულში მერის ადგილი  
ვერ დაიმკვიდრა სხვა ქალმა.

ისე დატოვე სამყარო,  
მერისთვის დარჩი უცნობი  
და გაიყოლე იმ ქვეყნად  
მისადმი ლტოლვა უჭკნობი.

### **ნოდარ ღუმბააძე**

ქართველ ერს შენი სახელი  
ოდესმე დაავიწყდება?  
შენ პერსონაჟთა ცხოვრება  
ცისქვეშ არასდროს მიწყდება.

„მარადისობის კანონით“  
შენ გახდი მარადიული,  
სევდანარევი ღიმილით  
ცხოვრება განვლე გმირული.

ახალი გულის ჩანერგვას  
არჩიე გული დაჭრილი,  
გედის სიმღერაც იმღერე  
და დარჩი ცამდე აჭრილი.

## ცხრა აპრილის დაღუპულ გმირებს

ცხრა აპრილის ქარცეცხლში  
დაღუპულო გმირებო,  
მამულისთვის ნაწამებო  
სანიმუშო შვილებო.

დიდ ურჩხულთან ბრძოლაში  
შეეწირეთ სიმართლეს  
და სიცოცხლის სანაცვლოდ  
ერს მოჰფინეთ სინათლე!

ფიცი დავდოთ ქართველებო  
მათ სულების წინაშე,  
ერთად ვიყოთ სიკვდილამდე,  
ვით აპრილის იმ ღამეს!

## ზრჩვევი ძმობა

აზერბაიჯანს და საქართველოს  
დღემდე შემორჩათ ურყევი ძმობა,  
ქრისტეს შობამდე სათავეს იღებს  
ჩვენს შორის თბილი ურთიერთობა!



სხვადასხვა რჯულის ერებისათვის  
უნდა ნიშნავდეს ბევრ რამეს ესა,  
და თუ მოგებამავს მთელი სამყარო  
არ აღმოხდება არასდროს კენესა!

### „ცისკრის ვარსკვლავი“

ვარსკვლავები ანათებენ  
ცისკრის კარი იღება,  
მისი შუქი გზას გვინათებს  
მნათობთ ცვენა იწყება.

ჩვენს ქალაქში ამობრწყინდა  
ჩვენი ცისკრის ვარსკვლავი,  
ჩვენც ვმღერივართ, პატარები,  
მისი შუქით გამთბარი.

ბათუმური ფესტივალი  
გულებს გვითბობს, გვახარებს,  
გვახარებს და გვახალისებს,  
სხვა რა გვინდა პატარებს.

მუდამ ჩვენი ერთგულია  
ჩვენი ცისკრის ვარსკვლავი,  
ჩვენისთანა ბედნიერი  
სიყმაწვილის სადარი.

## ბრავო მამსტროს!

ვუძღვნი ჯანსუდ კახიძის ნათელ ხსოვნას

ბრავო მამსტრო! ბრავო მამსტრო!  
ისმის მუსიკა ნაზი – ლამაზი,  
ჩვენი გულები გრძნობით აღავსე,  
სულგანაბული გისმენს დარბაზი.

ჰანგებს ამშვენებს და ეფერება  
შენი ხელების რხევა ლამაზი,  
ბრავო მამსტრო! ბრავო მამსტრო!  
მოხიბულია მთელი დარბაზი.

მუსიკა შეწყდა, ბრავო მამსტრო!  
მუსიკა შეწყდა მეტად ლამაზი,  
შენ დღეს მსმენელი მოაჯადოვე,  
ტაშით დაინგრა მთელი დარბაზი.

## ბასკო

ვუძღვნი კლუბ „ბასკოს“-ს  
2000 წლის საქართველოს ჩემპიონს

ჩვენო „ბასკოს“-ს ბიჭებო  
თქვენმა ოქრომ გვახარა,  
თქვენი კარგი თამაშით  
ასახელებთ აჭარა!

მიდით, მიდით ბიჭებო,  
დააგროვეთ ქულები,  
მიდით ჩემპიონებო,  
გაგვიხარეთ გულები!

„ბასკო“... „ბასკო“...  
საქართველო შემოგყურებს „ბასკო“!  
გვჯერა ისევ გამარჯვებით ივლით,  
მოიპოვებთ ევროლიგის თასსო!

„ბასკო“... „ბასკო“...  
გვჯერა ისევ გამოიჩინეთ თავსო,  
გვჯერა ისევ გამარჯვებით ივლით,  
გაგვიხარებთ გულშემატკივარსო!

კვლავაც ზუსტი ტყორცნებით  
გამარჯვება გემრავლოთ!  
სხვის კალათში ბურთები  
კვლავ ბევრი ჩაგეჟაროთ!

მიდით, მიდით, ბიჭებო,  
დააგროვეთ ქულები!  
მიდით ჩემპიონებო  
გაგვიხარეთ გულები!

### რე ხღებებე?!

ჩვენი ყოფის შემხედვარეს  
გულზე სევდა მეფინება,  
ჩემი ხალხის ბედით ვიწვი  
ცხოვრებით რომ იტანჯება.

წელში გატეხა დროებამ,  
სიდუხჭირის ერიდება,  
კაცი ოჯახს ვერ პატრონობს,  
გულზე ცეცხლი ეკიდება.

ფულს სესხულობს, ვერ ისტუმრებს,  
ამით სახელი უტყდება,  
და ნისიად რომ იცხოვროს  
ქუჩაში ყოფნა უხდება.

წვრილმან ნივთებს ეტანება,  
იქ იყიდის, აქ გაჰყიდის,  
რომ ოჯახი დააპუროს  
მისი დღენი ასე მიდის.

გუშინ კაცი ბუმბერაზი  
ერის საქმეს ვინაც სჭედდა,  
ქუჩის გახდა ბინადარი  
მისი ცოდნა ფუჭად რჩება.

ნეტავ რამე ეშველება  
ამ უკუღმართ ჩვენ ცხოვრებას?  
ნეტავ კიდევ მოგვესწრება  
კაცის წელში გასწორება?

ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება,  
საშველი თუ დაგვაღებება?  
უფლის ღოცვით და კურთხევით  
მჯერა შვება მოგვეცემა!

## ენა

ენავ, ტკბილად მოუბარო  
მუდამ შენი მონა ვარ,  
ხარ სიცოცხლის ელექსირი  
ტკბილო ენავ, ჯადო ხარ.

მკვახე ენამ კბენა იცის,  
მწარე ენა კაცსა კლავს,  
არ დაგინდობს ენა ავი,  
მოაბეზრებს კაცსა თავს.

ენავ ტკბილად მოუბარო  
მუდამ შენი მონა ვარ!  
ჩემი თავი შემოევლოს  
ვისაც ტკბილი ენა აქვს.

## ყაზახეთის მთებში

ყაზახეთის კლდე გრეხილზე  
ედელვაისი დაკრიფე,  
შუაზიის მთები ვლაშქრე,  
ამანგელდიც კი დავიპყრე.

დღემდე მახსოვს ის ბიჭები  
მწვერვალზე რომ ჩემთან იდგნენ,  
ვასო, გია და თემური  
მართლაც ვაჟკაცები იყვნენ!

ხშირად, სურათებს ვუყურებ,  
პიკზე რომ ვართ ოთხივენი,  
დღესაც მზად ვარ ამ ბიჭებთან  
ერთად ვლაშქრო მთათა ბჭენი!

## ბონს მოგებით ქართველებო!

ვას საწყალო გლეხო კაცო,  
დღეს არავის ენადვლები,  
უგლეხკაცოთ წინ ვერ წავალთ,  
ხალხნო ამას რად ვერ ხედებით?!

ქართველობა ჩემო ძმებო  
ვინ წაშალა - ან სად გაქრა?  
ცხოვრება კი შეიცვალა  
ვაჟკაცობა ვინ წავგართვა?!

გული ცივი რად გაგვიხდა  
დაგვეშალა ჩვენ ერთობა,  
გავისხენოთ ის ლაზათი  
ერთმანეთში რომ მეფობდა!

ქართველები დღეს ერთმანეთს  
უკრძალავენ მოსვლა - მისვლას,  
პოლიტიკას აჰყოლიან,-  
ამის ნება მათ ვინ მისცათ!

ეს ბინძური პოლიტიკა  
სახეს ტალახით დაგისვრის,  
შიგ ღორივით ამოგვსრის და  
მერე სანაგვეზე გისვრის!

პოლიტიკას ნუ აჰყვებით,  
ხომ ხედავთ რომ ავიშალეთ,  
დრო მოვიდა მოვევოთ გონს  
თორემ სულ მთლად დავიშალეთ!

გამოეფხიზლდეთ ქართველებო,  
ძმებო! ერთმანეთს ნუ ვჯიჯგნით,  
ჩვენი ხელით იმ ტოტსა ვსჭერთ  
რომელზედაც ჩვენვე ვჯდებით!

1999 წ.

## ეს არის თქვენი დემოკრატია? . . .

რისთვის გასწირეთ ქართველი ხალხი,  
რისთვის დატოვეთ ასე უმწეოდ,  
რისთვის დაშალეთ ის ნაშენები,  
ახლის შენება თუ არ შეგეძლოთ?!

რაც რომ ქართველზე ცოდვა ტრიალებს  
ეს თქვენი დიდი „ნამოღვაწია“,  
ქართველი კაცი სულმთლად ჩაძირეთ  
აყოლილიხართ დემაგოგიას.

ხალხმა მოგანდოთ სადავეები,  
და მოგაბარათ მათი სულები,  
ამის სანაცვლოდ ხალხი გაძარცვეთ  
და ამოხადეთ ტანჯვით სულები.

თქვენ გეუბნებით აღვირახსნილნო  
უწინ მხურვალედ რომ ქადაგებდით;  
თავისუფლებას, დემოკრატias,  
ვაი რომ თურმე მასხრად გვიგდებდით!

საქართველო და ქართველი ხალხი  
თქვენი წყალობით გათელილია,  
მადლობა ღმერთს რომ ამას ვერ ხედავს  
დიდი ქართველი, ჩვენი ილია! . . .

2000 წ.



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი

ქართველთა საფიცარი ხარ,  
იყავი, ხარ და იქნები,  
სამი ათასი წლისა ხარ,  
არასდროს დაგვიბერდები!

შენი გმირული წარსულით  
ქართველი დღესაც ამაყოფს,  
კურთხეულ საქართველოსთვის  
ქართველ ფესვებზე კვლავ ხარობს!

სამი ათასი წლისა ხარ  
ბერმუხა -უბერებელი,  
გლოცავდა, გლოცავს - დაგლოცავს  
მრავალჟამიერ ქართველი!

2000 წ.

ღ ი დ ა ჯ ა რ ა

როგორ არ ვაქო მე ეს ხეობა  
ნატადრალია ყველა სოფელი,  
ამ ხეობიდან გაქრისტიანდა  
ქართველი ტომის შვილი ყოველი.

საქართველოში ქრისტიანობა  
გაგრძელდა სოფელ დიდაჭარიდან,  
აქ აღავლინა პირველი ლოცვა  
და იქადაგა წმიდა ანდრიაშ.

2000 წ.

## ხიხანის ციხე

ხიხანის ციხე - მედგარო  
აგაგო ბოლოკ - ბასილმა,  
იმ დროის დიდმა ოსტატმა  
საქართველოში ცნობილმა.

შენ აგებამდე ხიხანო  
აქ ეკლესია დაიდგა,  
სალოცავ სავედრებელი, -  
სახელად გიორგი წმინდა.

არწივთა საბუდარი ხარ  
მკაცრია შენი ბუნება,  
ფეხის დაგმა და ამოსვლა  
აქ ჯიხვსაც გაუჭირდება!

ამიტომ დიდხანს ვერ შესძლო  
მტარვალმა შენი ტყვეობა,  
თავგამოდებით გიცავდა  
ხიხადირელთა ხეობა.

აქ შენ კედლებთან დაიწყო  
დუშმანთან დიდი ბრძოლები,  
გადამთიელთა ზეწოლამ  
ვერ შეგირყია კედლები!

აქ შენ კალთებთან აწამეს  
ბრძოლებში გამობრძმედილი,  
საქართველოსთვის მებრძოლი  
ხიმშიაშვილი სელიმი.

დგახარ ამაყი არწივი,  
თითქოს დარაჯობ ხეობას,  
ხეობაც მადლობას გიხდის  
შენ ომგადახდილ მეომარს!

2000 წ.

### **ხმა ავიმალლოთ!**

როცა ქუჩაში ქართველი კაცი  
მამა-პაპათა ღირსებას იცავს,  
არ გვაქვს უფლება არ დავდგეთ ერთად  
მტარვალი მაშინ თავს ვერ დაიცავს.

იმათ კი ვინაც დროის ქარ-ცეცხლში  
ხალხს დალატობს და მასკარადს აწყობს,  
გაუვა ყაველი სატანის ზეიმს  
და არაკაცებს მისებრ მიუსდევს.

ხელისუფალთ კი მივმართავ თხოვნით:  
ხალხის სვე-ბედი გაითავისონ, –  
ქართველი ქართველს ნუ ესვრის ტყვიას,  
ვიდრე ჯერ კიდევ არ არის გვიან.

2003 წ

\* \* \*

ერთი მიზნის მისაღწევად  
გემართებს დიდი ნებისყოფა,  
არ დაეუშვათ ძმათა ხოცვა  
სისხლის ღვრა და ძაღადობა.

არ დაეუშვათ ბაზალეთი  
ავიცილოთ უფლის რისხვა,  
თვითმარქვია ხელისუფალთ  
არ დაეუთმოთ ჩვენი მიწა.

შედევს მალე გამოიღებს  
ძმებო ჩვენი ერთად დგომა,  
დრო დადგება ამ სიმტკიცეს  
დაგვიფასებს ჩვენი მოღვა.

## **ვუძღვნი მაჭახლის ხეობის მოსახლეობას**

სოფლები მთებს შეფენილან  
მაჭახეკას ხეობაში,  
სუსხიან გზით გამოვლილნი  
ერთ დროს მყოფნი ტყვეობაში.

ავბედით მუხანათობამ  
ორად გახლიჩა ხეობა,

ერთი ძმა გაღმა დატოვა,  
მეორე - აქეთ, გადმოღმა.

სამას წლიანმა მარწუხმა  
ხეობა სისხლით აავსო,  
ბევრი წინაპრის ოჯახი  
ამოძირკვა და დაავსო.

მაგრამ დიდ ნენეს ჯვრიან ჭადს  
ვერა დააკლო აუგმა,  
ნენემ ჯვრით რწმენა ინახა,-  
ნამრავლმაც მხარი აუბა!

ვინც კი ერთხელ ფეხ დადგა  
ამ დალოცვილ კუთხეში,  
მის სიყვარულს თან ატარებს,  
თბილად - გულის სიღრმეში.

2006 წ.

## **მოგზაურობა კახეთს**

შთაგონებისა წყაროა  
ჩემი ღამაზი კახეთი,  
მე მისგან კაცი ნაწყენი  
ჯერ არ მინახავს არც ერთი.

აქ გული სხვანაირად ძგერს, -  
ხელგაშლილია კახელი,  
თავისი უბრალოებით  
ქვეყნად გაითქვა სახელი.

როდესაც ნადგურდებოდა  
ჩვენს მამულს ეკლესიები,  
კახეთმა შეინარჩუნა  
ეს წმიდა სალოცავები.

იყალბოსა და აღავერდს  
ახსენებს ბევრი ქართველი,  
მთელ სამყაროში იცნობენ  
მათი უკვდავი სახელით.

აქ იყალბოს ხომ სწავლობდა  
ჩვენი უკვდავი რუსთველი,  
მისი უბადლო კალამით  
დღესაც ამყობს ქართველი.

გრემს დაულოცეთ მეფენი  
მამულთან ვალმოსდილები,  
ქეთევან წამებულისა  
ვიხილეთ ნაფესურები.

თელავში ერეკლე მეფის  
ვიხილეთ ციხე - სიმაგრე,  
დღემდე შემორჩა ლეგენდათ  
მისი მახვილის სიმარდე.

წინანდალს ჭავჭავაძენი  
ჭედავდნენ ერის კულტურას,  
აქ ჩაეყარა სილადე  
პოეტთა ენას - უტყუარს.

ყვარელში დიდი ილიას  
მოვინახულეთ მამული,  
ქართველი ერის თავკაცი  
არის მარადი წარსულით.

ბოღბეში ნინო წმიდისა  
მოვინახულეთ საფლავი,  
იესოს მქადაგებლისა, -  
ქართველთა რწმენის ვარსკვლავი.

სიღნაღი ვნახეთ ახალი  
დედოფალივით მორთული,  
თუმცა გლეს კაცი იქ დაგვხვდა  
ცხოვრების დიდ სირთულით.

ალაზანს სუფრა გაეშალეთ  
მივირთვეთ ვაზის ნაჟური,  
ერთმანეთს გზა დაულოცეთ,  
სიტყვა ვთქვით თითო - კაცური.

წინაპრო მკლავი ვახსენეთ,  
მტერი რომ ჩეხა ვერაგი,  
მათი სახელის ჭირიმე,  
ვადიდეთ მათი ამაგი!

დავლოცეთ კახელთ მარჯვენა  
მოსავალი და ოჯახი,  
ყველამ გულთბილად მიგვიღო  
სითბო გვანახეს ოჯახის.

დავლოცეთ ჩვენი სამშობლო,  
დღემდე მტრისაგან დევნილი,  
ღმერთო აღირსე ჩვენ მამუელს  
ხალხი არ ყავდეს დევნილი.

კახეთზე და კახელ კაცზე  
სათქმელს რა ამოწურავს,  
ჩემი კუთხის გმირულ წარსულს  
საქართველო სულ ტაშს უკრავს!

2008 წ.

## ბაბზარული საქართველო

სატანა გამეფებულა  
ქართველთა მიწა - წყალზეო,  
ახალგაზრდობა დახოცა  
და დაგვიობლდა მხარეო.

ჩემო ოსსო და აფხაზო  
აბა რად გვინდა ომიო,  
ეს მხოლოდ მტრებს გაახარებს  
ჩვენ რა გვაქვს გასაყოფიო . . .



ღმერთი ყველასა მოჰკითხავს  
ვინაც არია მხარეო, -  
უფალო შენ შეგვიწყალე  
მშვიდად ჰყავ არე - მარეო!

2009 წ.

**ე რ ი ს მ ე ღ ბ რ ო ბ ა**

ოდითგანვე საქართველოს  
ბევრი ჭირი გადუვლია,  
გამკლავება მაინც შეძლო  
სახელი არ გასტეხია!

ბევრი ერი გამიცნია  
ბევრიც კიდევ დამივლია,  
ჩვენს წინაპრის დასადარი  
ჯერ არცერთი მინახია.

2009 წ.

## ღმერთო დამილოცე დედიკო

როცა დილა თენდება, -  
დედა თავზე მევლება,  
ასე გაუთავებლად  
ეს დღეები გრძელდება.

გულით მინდა დაგლოცო  
ჩემო ტკბილო დედიკო, -  
ღმერთო შენ გვევდრები,  
დამილოცე დედიკო!

შენი თბილი ალერსი  
მუდამ ჩემთან იქნება,  
სანუკვარი ეს გრძნობა  
თვით უფალმა ინება.

ჩემო ერთადერთო,  
ჩემო სანატრელო,  
მუდამ მეყვარები  
დედა საყვარელო.

2008 წ.

\*\*\*

## ბანა ყველა კაცი არის ?

მე მწამს კაცი როცა სიტყვას,  
იტყვის და მას საქმეთ აქცევს,  
დაელოცოს მას გამჩენი  
ყველას კარგ მაგალითს აძლევს.

ოჯახს როცა, პურს გატეხავს,  
ჭირსა და ლხინს იზიარებს,  
იმ ოჯახის ძმა ხდება და, -  
მისით კაცი გაიხარებს!

იგი კაცი რა კაცია  
გადიქცევა ქალთან ენად,  
ყვავილების ჩუქნის დროს კი  
ფულის ხარჯვა ენანება.

ღვინოს დაღვეს, მიათვრება  
და გონებას კარგავს თვისას,  
ასეთმა კი რძე უნდა სვას, -  
ღვინო სასმელია ღვთისა!

კაცმა რომელმაც არ იცის  
სტუმრის დახვედრა ქართულად,  
გადაგვარების გზაზე დგას,  
გამოგიტყდებით კაცურად!

ბანა ყველა კაცი არის,  
ვისაც შარვალი აცვია?  
სიბრძნე გმართებთ არჩევნისთვის  
სიტყვა თქვენთვის მომინდვია!

1999 წ.

## ზობიერთ ახალგაზრდას

ახალგაზრდებო, რას სჩადით!  
„ცოლებად“ შექმნეთ დედები,  
მშობლების არა გრცხვენიათ?!  
რად წაიბილწეთ ენები!

რად ცდილობთ ასე აუგად  
დაამახინჯოთ ქართული,  
წინაპრის მიერ ამ დღემდე  
ნაგოგმანები, დაცული.

დედის აუგად ხსენებას  
თავს შეაკლავდა ქართველი!  
თქვენ კი რა ღმერთი გაგიწერათ,  
ნუთუ სხვა არ გაქვთ სათქმელი!

ამ ჩვენს დალოცვილ ლალ ენას  
სულ დაუკარგეთ ელფერი,  
გონს მოდით! ნუ შეარცხვინეთ  
ქართველი კაცის სახელი.

მაწანწალა ბავშვის ხვედრი

ბავშვთა სამყარო არ მერგო,  
შიგ ვერ მოვხვდი, ავცდი ბედსა,  
მაწანწალას ხვედრი მწარე  
უიღბლოსა დამებედა.

ვის სცალია ჩემთვის ნეტავ?  
ნეტავი ვის ვენადვლები?  
ჩემისთანებს დღესდღეობით  
ბევრს ქუჩებში წაწყდებით.

ვხვდები, ხომ ეს, ამ დროებამ  
და ცხოვრებამ მოიტანა,  
რის შემდეგაც ჩემი გული  
ქვად იქცა და დაიღალა.

ბობოლებო თქვენს გულებში  
ჩახედვა ნუ დაგზარდებთ,  
სხვისი ბავშვის ბედი რატომ,  
რატომ აღარ გენადვლებთ?

ჩემს პატარა გულში შესვლა  
შეგიძლიათ ყოველ თქვენგანს,  
ნება უნდა მხოლოდ თქვენი,  
ჩემი გულის დასაპყრობად!

1999 წ.

## უ ბ ნ ე ლ ე ბ ი

დღევანდელ დღეს გაუმარჯოს!  
ჩემო ძმებო - უბნელებო,  
გავიხსენოთ ჩვენ ბავშვობა,-  
განვლილი გზა სამეგობრო.

ახალგაზრდა უდარდელი  
ჩვენი წლები გავიხსენოთ,  
ის პირველი სიყვარულიც,  
ნუ შეგრცხვებით - აქ ვახსენოთ.

გავიხსენოთ წასულები  
ფეხზე დგომით შევსვით ჭიქა,  
ამ ქვეყნად კი დარჩენილებს  
მათ მიუძღვნათ თბილი სიტყვა.

სხვებსაც პატივი მივაგოთ  
ვინც ვერ შეძლო ჩვენთან მოსვლა,  
ჩვენი გრძნობით - უთანაგრძნოთ,  
და უსურვოთ კარგად ყოფნა.

ახლა შევსვით სადღეგრძელო  
ვინც უბნის დღე შემოიღო,  
კაცს რომელსაც შეუძლია  
სიხარული მოგვანიჭოს.

შენი ოჯახით დაგლოცავ,  
ჩვენო ძმაო - გეფერებით,  
დიდ მადლობას შემოგწირავთ  
ამ დღისათვის უბნელები!

2001 წ.

პაატა მოისწრაფიშვილმა 2001 წლის 28 აგვისტოს უბნის  
დღე დაარსა.

ფ უ ლ ი

იმსხვერვეა, ინგრევა ჩვენი ადათი,  
ცხოვრებამ დაკარგა თავის ღაზათი,  
ფული ბატონობს და სქელი ჯიბე,  
ამას არ უნდა ბევრი კამათი.

ფულის კეთება თუ ვერ შეძელი,  
ნუღარც სიკეთეს ნუღარ მოეღი,  
ოჯახი უმალ შენ შეგიძულეებს,-  
ვინ გაგიკარებს? – მითხარ რომელი?!

ყველა შენია როცა გაქვს ფული,  
ვილა, მანქანა, „კარგი ქალები“,  
მაგრამ თუ ერთხელ წაიბორძიკე,-  
უკან დაგრჩება ეს ყოველივე.

დიდი, პატარა დღეს ფულზე ფიქრობს,  
ფულია მათი ფიქრის საგანი,  
უფულო კაცი დაღუპულია,  
არავის უნდა ერთი მათგანიც.

ოხ, ეს მაცდური ოხერი ფული,  
მის შოვნაში ხომ გაყიდე სული,  
დღეს ის ბატონობს შენს აზროვნებას,-  
ის არის შენში დღეს ჩასახული.

ფული გიჩდება, ყოყონობს გული,  
შენში ბობოქრობს ბოროტი სული,  
ხარ ქვა - კლდესავით გაქვავებული,  
შენგან შორს არის კაცთ სიყვარული.

ფული არ ინდობს არცერთ ჩვენთაგანს,  
ის კიბოსავით ვრცელდება ტანში,  
ყველა ნათესავს, ყველა მეგობარს  
შენ აღარ ინდობ და გაცვლი მასში.

ძალაუფლებას შენ ფული გიძენს,  
„ავტორიტეტსაც“ განიჭებს ფული,  
შენ სიმაღლიდან დაჰყურებ ყველას  
ადამიანის გიკვდება გული!

როგორც იუდამ გაყიდა ქრისტე,  
შენც ისე ყიდი ყველას – ყველაფერს,  
კაცობა, ძმობა და მეგობრობა  
შენ ანაცვალე ყველა „მწვანე“ ფერს.

ფულს თუ აკეთებ, თესე სიკეთე!  
ფული გაღორებს განა არ იცი?!  
არ დაივიწყო, ღმერთის შვილი ხარ  
თესე სიკეთე - მაღლი ხალხისთვის!

2000 წ.



ს ნ ღ ე რ ძ ი

საფლავთან მოდით ჩამძახეთ  
ქვეყნად თუ თესეთ სიკეთე,  
მერწმუნეთ ჩემო სისხლხორცნო  
მას მე ნამდვილად გაგიგებ.

ხარბმა ცხოვრებამ არ გძლიოს  
არ გაგიტეხოს სახელი,  
გახსოვდეს მამულს არ უყვარს  
ქვეყნად უზნეო ქართველი!

2008 წ.

თ ა მ ა ლ ა

თამადა ერთპიროვნული  
სუფრისა გამგებელია,  
ადათ - წესებით მმართველი, –  
ეს მისი დიდი ვალია.

თამადა ხელოვნებაა,  
ის ხომ რჩეულთა ხვედრია!  
თავისი სიტყვა – პასუხით  
სუფრასთან ერთადერთია!

2010 წ.

\*\*\*

ვალი არის მოღვაწისა  
ერს კალმით რომ ემსახუროს,  
მისი ხალხის ჭირ - ვარამი  
დროზე უნდა გააშუქოს!

\*\*\*

რა არის ჩვენი ცხოვრება,  
როგორ გაგვირბის დღენიო,  
კაცმა არ იცის ამ ქვეყნად  
სად დაგიცდება ფეხიო . . .

\*\*\*

შენ ჩემო ძმაო გიწუნებ  
შენი კუთხისა არ ცოდნას,  
წინაპრის მიმართ ჩადიხარ  
გაუსწორებულ დიდ ცოდვას!

\*\*\*

მზაკვრული გეგმა აიღეს,  
ყიდეს და ყიდეს მამული,  
ადათ წესები გვიგინეს  
და ამოგვხადეს ხალხს სული.

\*\*\*

თ ო ვ ს

თოვს, თოვს, თოვს  
მოვერცხლილი ციდან, -  
ცხოვრება დავიწყოთ  
სუფთა ფურცლიდან.

თოვლის ფიფქები  
მეხვევა თავზე,  
მინდა გჯეროდეს  
არ გაგცვლი სხვაზე.

შენი აღერსი  
ისევ მომინდა,  
შენი დაკარგვა  
კარგო არ მინდა!

გულით ვატარებ  
ჩვენს ძველ სიყვარულს,  
დღეებს ვისვენებ  
განვლილ არნახულს.

შენგან ძვირფასო  
ერთ რამეს ვითხოვ,  
ნუ დამიკარგავ  
ისევ - ძველ სიბოლს.

თოვს, თოვს, თოვს  
მოვერცხლილ ციდან, -  
შენი დაკარგვა  
არა და არ მინდა !!!

2008 წ.

## ჭადარი

ნატვრის ხე ხარ ჭადარო,  
ნატვრის ხე ხარ წვეილების,  
წვეილთა მესაიდუმლე,  
მოწმე თბილი სიტყვების.

შენს ფოთლების შრიალში  
რამდენს ნატვრა აუხდა,  
ბიჭმა გოგოს გულწრფელად  
სიყვარული აუხსნა.

რას იზამ თუ შენს ძირშიც  
სუსხმა გამოიარა,  
ხარ იმისი მოწამეც  
რამდენს დარჩა იარა.

ნუ მოიწვენ ჭადარო,  
თოვლი ისევ დადნება,  
მალე გავა ზამთარი,  
გაზაფხული დადგება.

შენთან, ჩემო ჭადარო,  
ისევ მოვლენ წვეილები,  
სიყვარული იფეთქებს,  
აძგერდება გულები.

წვეილთა მესაიდუმლე,  
მოწმე თბილი სიტყვების,  
ნატვრის ხე ხარ, ჭადარო,  
ნატვრის ხე ხარ წვეილების.

## ვიოლინა

გულზე სევდა მეფინება  
ვიოლინო როცა „მღერის“,  
რაც დრო გადის წარსულს მიაქვს  
მოგონება მშვენიერი.

მისი თბილი მელოდია  
არ მასვენებს, დამსდევს მუდამ,  
გულს ამხნევებს, ეფერება  
გულს, რომელსაც სითბო უნდა.

ვიოლინო სითბოს აფრქვევს  
გულში შეაქვს გაზაფხული,  
მისი ბგერა მიმორჩილებს,  
როგორც ქალის სიყვარული.

ვიოლინო, ვიოლინო  
მე შენ მავსებ სიყვარულით,  
ვიოლინო – შენ რომ გისმენ  
გული მიძგერს სიხარულით.

## ო მ ე ღ ი

ქალო მინდა მოგეფერო  
დაგიკოცნო გულმკერდი,  
ცოტაც შენაც მიმანიშნე  
თორემ გაქრა იმედი,  
შენი ენის გადაბკიდე  
სულ დავკარგე იმედი . . .

## გული არა ბერდება

ღამაზმანის დანახვაზე  
თვალი მას არ შორდება,  
გრძნობა უმაღლ აზვირთდღწბა,  
გული წამსვე ტოკტება.

კაცს რომ წლები ემატება,  
გული არ უბერდება,  
აბა კაცი რის კაცია  
ქალი თუ არ უნდება!

ღამაზმანი ჩემო ძმაო  
ელფერს მატებს სიცოცხლეს,  
და თუ მასაც შენ უყვარხარ  
სიცოცხლე ჰგავს სამოთხეს!

## ოცნების ღამე

სანთელი იწვოდა, ცრემლად იღვრებოდა, ტანს კაბა ეცლებოდა, ალერს ითხოვდა... ქალი მეფერებოდა, როგორც ვულკანი იფერფლებოდა... იფერფლებოდა – მერე ქრებოდა...

მისი თვალები ისევ უსზღვრო სიყვარულს ითხოვდა, ისევ ვულკანში ჩათრევას, და მის ჩაქრობას ღამობდა...

სანთელი დნებოდა, ცრემლად იღვრებოდა, გათენება ჩვენ აღარ გვინდოდა... დრო კი უღმობლად მირბოდა, არ ჩერდებოდა...

ღამის წყვილია ჩვენ გვეცლებოდა... ვნებათა ღელვას  
საზღვარი არ ჰქონდა, ხვალ ყოველივე ზღაპრად იქცეოდა...  
ღამე იშლებოდა, სანთელი იღოდა, ცრემლად იღვრებოდა...  
ოცნების ღამე ხელში გვადნებოდა...  
ოცნების ღამე, ვნებათა ღელვა, უსასრულო ზღვა, მისი  
ტალღები მე მეფერება და არ სრულდება...  
შეჩერდი ღამეე! ნუ გათენდება მაღე...

## **ს ი ზ მ ა რ ი**

მე წინა ღამით სიზმარი ვნახე  
თითქოს და გული ისევ შეტოკდა,  
როგორც წარსულში ისე ყვიროდა,  
და სიყვარული ისევ სწყუროდა.

სიზმარში ისევ შენთან ვიყავი,  
ისევ ისეთი კარგი იყავი,  
ჭადართან მოველ, შენ იქ იყავი,  
და კვლავ ჩვენ ისევ ერთად ვიყავით.

გათენდა დილა, შენ არ იყავი,  
მე ცივ ოთახში მარტო ვიყავი,  
და გამახსენდა ჩვენი დღეები,  
როდესაც კარგო ერთად ვიყავით . . .

2006 წ.

\*\*\*

### Ностальгия по Батуми

В душе тоска накопилась,  
Вдали нахожусь от тебя.  
Сердце наполняется печалью,  
Как вспоминаю тебя.

Сияешь вечно ласково,  
Город моих юных лет,  
Оплотом любви называют тебя,  
Ты мой солнечный свет.

Раскинувшись у подножья гор,  
Окружен пучиной волн,  
Батуми мой неповторимый,  
Сказочный зеленый рай.

Радужьем своим покоряешь,  
Батуми, ты вечно сияешь,  
Город моих юных лет,  
Не забыть тебя вовек.

1999 г.



Гимн Кавказу

Народы Кавказа,  
Сплоченная семья.  
Мы тебя любим  
Родная земля.

Стеною станем,  
Родина моя,  
Нам невозможно  
Прожить без тебя.

Терек, Ингури,  
Кура и Аракс,  
Кровью залиты  
В боях за Кавказ!

Мудрые предки  
Хранили тебя,  
Наш общий дом Ты -  
Родная земля.

2003 г.

## Предостережение

Лермонтов в своих твореньях  
Искренне душу изливал,  
Был он дерзким, непокорным  
Этим славу и снискал.

Еще с далекого столетья  
Гуманно век опережал,  
От нашествий и насилья  
Поэт Кавказ оберегал.

Устами юного поэта,  
«Казбегу молвил старый Шат\*, -  
Вот на севере в тумане  
Что-то видно, брат!

От Урала до Дуная,  
До большой реки,  
Колыхаясь и сверкая,  
Двигутся полки.

Идут все полки могучи,  
Шумны, как поток.  
Страшно медленно, как тучи,  
Прямо на Восток».

---

\* Шат - Эльбрус

Да и сам поэт гонимый  
Избегал своих господ  
От походов их кровавых  
Свой он пробуждал народ.

В стихах к России обращаясь  
Обнажил он их лицо:

«Прощай, немытая Россия,  
Страна рабов, страна господ,  
И вы, мундиры голубые,  
И ты им преданный народ.

Быть может, за стеной Кавказа,  
Сокроюсь от твоих пашей,  
От их всевидящего глаза,  
От их всеслышащих ушей».

Жаль, Россия ныне схожа  
Со страной господ,  
Из-за их коварных планов  
На Кавказе льется кровь,  
Будь живым поэт, как прежде,  
Защитил Кавказ бы вновь!

Ведь Отчизна для народа  
Навек Всевышним всем дана,  
Отобрать ее насильно  
Не в силах дае сатана!

2003 г.

## Посвящается радио «Шансон»

Радио «Шансон»,  
Ты праздник души,  
Сердца согреваешь  
В далекой глуши.

Низкий поклон поэтам,  
Песням и певцам,  
Они проложили  
Путь к нашим сердцам.

Нет песен в эфире  
Ближе и круче,  
Чем песни твои, -  
Они всех лучше.

Между нами версты,  
Города, ну и пусть,  
У нас их слушают,  
Поют наизусть.

2009 г.

Вернись...

Милый мой родной  
Ты ушел к другой.  
В чем моя вина  
Ведь я была верна.  
Почему родной  
Сердце мне разбил,  
Почему ты мне душу отравил.  
Вижу в моих снах, первые цветы,  
Первый поцелуй,  
И слова любви сказанных Тобой.  
Может быть еще, Ты придешь ко мне.  
И спосем любовь вместе Я и ТЫ.  
Жду, еще не поздно.  
Душа еще с тобой,  
Но после будет поздно,  
Слышишь мой родной.

2010 г.

გლოცავ მამულო! . . . . .	05
წმიდა ნინო . . . . .	07
დაილოცოს საფიცარი . . . . .	08
სვეტიცხოველი . . . . .	09
ჩემი კახეთი . . . . .	09
თბილისო . . . . .	10
ჩემო ბათუმო . . . . .	11
ჩემი სიყრმის ქალაქი . . . . .	12
მცხეთა . . . . .	13
ექვთიმე თაყაიშვილს . . . . .	14
გალაქტიონს . . . . .	14
ნოდარ დუმბაძეს . . . . .	15
ცხრა აპირილის დაღუპულ გმირებს . . . . .	16
ურყევი ძმობა . . . . .	16
„ცისკრის ვარსკვლავი“ . . . . .	17
ბრავო მაესტროს! . . . . .	18
ბასკო . . . . .	18
რა ხდება?! . . . . .	20
ენა . . . . .	21
ყაზახეთის მთებში . . . . .	22
გონს მოვეგოთ ქართველებო! . . . . .	22
ეს არის თქვენი დემოკრატია? . . . . .	24
საქართველო . . . . .	25
დიდ აჭარა . . . . .	25
ხიხანის ციხე . . . . .	26
ხმა ავიმადლოთ! . . . . .	27
* * * . . . . .	28
გუძღვნი მაჭახლის ხეობის მოსახლეობას . . . . .	28
მოგზაურობა კახეთს . . . . .	29
გაბზარული საქართველო . . . . .	32
ერის მედგრობა . . . . .	33
ღმერთო დამილოცე დედიკო . . . . .	34
*** . . . . .	35

განა ყველა კაცი არის? . . . . .	36
ზოგიერთ ახალგაზრდას . . . . .	37
უბნელები . . . . .	38
ფული . . . . .	39
ანდერძი . . . . .	40
თამადა . . . . .	40
*** . . . . .	41
სიზმარი . . . . .	41
თოვს . . . . .	41
ჭადარი . . . . .	43
ვიოლინო . . . . .	44
იმედი . . . . .	45
გული არა ბერდება . . . . .	45
ოცნების ღამე . . . . .	46
მაწანწალა ბავშვის ხვედრი . . . . .	46
*** . . . . .	48
*** . . . . .	48
*** . . . . .	48
*** . . . . .	48
*** . . . . .	48
*** . . . . .	48
Ностальгия по Батуми . . . . .	49
Гимн Кавказу . . . . .	50
Предостережение . . . . .	51
Посвящается радио «Шансон» . . . . .	53
Вернись . . . . .	54

რედაქტორი – რეზო მხატვარი  
კორექტორი – ნანა დიასამიძე  
თარგმნატი – ნაზო ძიძიგური